



სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტოს“ გენერალური დირექტორი

ბრძანება

№ 2/129

„4“ აგვისტო 2014წ.

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით დირეხული ობიექტებისათვის
კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი
დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე,
52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15
მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ
სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8
აპრილის №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“
ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი სსიპ საქართველოს
ეროვნულ მუზეუმში დაცულ ამ ბრძანების დანართში მითითებულ ექსპონატებს;
2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში
ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება;
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან
ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (მისამართი: ქ.
თბილისი, სანაპირის ქუჩა N4).

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიძე

| № | დასახელება | სააღრიცხვო ბარათის № |
|----|---|----------------------|
| 1. | <p>ეთნოგრაფიული ნიმუში. საღვინე სურა</p> <p>(XVIII საუკუნე, აღ. საქართველო; ვერცხლი, სიმაღლე: 36 სმ; სემ-ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, №22-1924/5)</p> | 003349 |
| 2. | <p>ეთნოგრაფიული ნიმუში. საღვინე სურა</p> <p>(1840 წელი, თბილისი; ვერცხლი, სიმაღლე: 26,4 სმ; სემ-ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, №100-1960/1)</p> | 003350 |
| 3. | <p>ეთნოგრაფიული ნიმუში. საღვინე სურა</p> <p>(1881 წელი, თბილისი; ვერცხლი, სიმაღლე: 30,5 სმ; სემ-ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, №70-1972/1)</p> | 003351 |
| 4. | <p>ეთნოგრაფიული ნიმუში. ღვინის სასმისი „აზარფემა“</p> <p>(XIX საუკუნე, თბილისი; ვერცხლი, ტარის სიგანე: 2,3 სმ, ტარის სიგრძე: 34,5 სმ. სემ-ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, №20-1926/1)</p> | 003352 |
| 5. | <p>ეთნოგრაფიული ნიმუში. ღვინის სასმისი „აზარფემა“</p> <p>(XIX საუკუნე, თბილისი; ვერცხლი, ტარის სიგანე: 1,2 სმ, ტარის სიგრძე: 28 სმ. სემ-ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, №63-1986/1)</p> | 003353 |
| 6. | <p>ეთნოგრაფიული ნიმუში. ღვინის სასმისი „აზარფემა“</p> | 003354 |

| | | |
|-----|---|--------|
| | (XIX საუკუნე, თბილისი; ვერცხლი, ტარის სიგანე: 1,3 სმ, ტარის სიგრძე: 27,5 სმ. სემ-ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, №2-1974/1) | |
| 7. | ეთნოგრაფიული ნიმუში. ღვინის სასმისი „ყარყარა“ (XIX საუკუნე, თბილისი; ვერცხლი, ტარის სიმაღლე: 29 სმ. სემ-ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, №20-1989/1) | 003355 |
| 8. | ეთნოგრაფიული ნიმუში. ღვინის სასმისი „კულა“ (XIX საუკუნე, თბილისი; ზე, ვერცხლი, სიმაღლე: 30,5 სმ, სიგანე: 41 სმ. სემ-ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, №31-1924/10) | 003356 |
| 9. | ეთნოგრაფიული ნიმუში. ღვინის სასმისი – თასი (1902 წელი, მთიულეთი, ად. საქართველო; ვერცხლი, სიმაღლე: 6,5 სმ. სემ-ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, №109-1959/5) | 003357 |
| 10. | ეთნოგრაფიული ნიმუში. საღვინე დოქი (1857 წელი, თბილისი; ვერცხლი, სიმაღლე: 16 სმ. სემ-ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, №4-1959/3) | 003358 |
| 11. | ეთნოგრაფიული ნიმუში. ღვინის სასმისი „ყანწი“ (XIX საუკუნე, ად. საქართველო; რქა, ორი ცისფერი თვალი, ვერცხლი, სიმაღლე: 16 სმ. სემ-ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი, №41-1969/1) | 003359 |